

შუალედური ანგარიში
11 სექტემბერი – 9 ოქტომბერი, 2024

2024 წლის 11 ოქტომბერი

I. შემაჯამებელი რეზიუმე

26 ოქტომბერს საქართველო პირველად გამართავს საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც სრულად პროპორციული სისტემით ჩატარდება. არჩევნები დამკვიდრებული პოლიტიკური პოლარიზების, უწყვეტი პოლიტიკური დამაბულობის, ოპოზიციის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობისა და გაერთიანებისა და გამოხატვის უფლების დაცვასთან დაკავშირებით წარმოშობილი შფოთვის ფონზე მიმდინარეობს. ეს არჩევნები ასევე იქნება პირველი არჩევნები, რომელსაც საქართველო გამართავს 2023 წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ; აღნიშნული პროცესი 2024 წლის ივნისში „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ *დე ფაქტო* შეჩერდა. კანონპროექტის მოსმენასა და მის ფაქტობრივ მიღებას ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მოჰყვა.

- ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საარჩევნო კოდექსი 20-ზე მეტჯერ შეიცვალა. 2022 და 2023 წელს მიღებული ცვლილებები საჯარო დისკუსიების შედეგად მიიღეს, რასაც ფართო მხარდაჭერა მოჰყვა და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ვერ უზრუნველყო რეკომენდებული ყოველისმომცველი რეფორმის განხორციელება, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) რეკომენდაციები გარკვეულწილად გათვალისწინებული იქნა; თუმცა, 2024 წელს მიღებული ცვლილებები მნიშვნელოვანი საჯარო კონსულტაციებისა და კონსენსუსის გარეშე მიიღეს, რაც, მათი ზეგავლენის გამო, შემფოთების მიზეზად იქცა. გარდა ამისა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რამდენიმე რეკომენდაცია კვლავაც შეუსრულებელია, მათ შორის ის რეკომენდაციები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებას, საარჩევნო კამპანიის წარმართვასა და დაფინანსებას, საარჩევნო კამპანიის მედიასთან დაკავშირებული რეგულაციებისა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის ჩარჩოს გაძლიერებას შეეხება.
- არჩევნებისთვის მზადება უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს; საარჩევნო ადმინისტრაციამ დაიცვა ყველა საკანონმდებლო ვადა, გამართა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ტრენინგები და წამოიწყო ამომრჩეველთა ინფორმირების ფართომასშტაბიანი კამპანია. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში, პროცესში ჩართული ბევრი მხარე საარჩევნო ადმინისტრაციის ტექნიკური და ორგანიზაციული კომპეტენციების მიმართ ნდობის გამოხატავის მიუხედავად ზოგიერთი დაინტერესებული მხარე შეშფოთებას გამოთქვამდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამარტივების, ოპოზიციის მიერ არჩეული კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციის გაუქმებისა და კომისიის წევრების არჩევის ახალი მეთოდის შესახებ, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობაზე.

- ისტორიაში პირველად ყველა საარჩევნო უბანზე გამოყენებული იქნება ამომრჩეველთა იდენტიფიცირების, შედეგების დათვლის, წინასწარი შედეგების დადგენისა და გადაცემის ელექტრონული მოწყობილობები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექნოლოგიების ამოქმედებას პროცესში ჩართული დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა მხარს უჭერს, ზოგიერთი მათგანი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები შესაძლოა არასაკმარისი კომპეტენციის გამო ვერ გაუმკლავდნენ თითოეულ უბანზე დარეგისტრირებული ამომრჩევლების გაზრდილ რაოდენობას, რაც ბოლო არჩევნების შემდეგ გაორმაგდა, და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ტექნოლოგიას დამატებით უნდა გაეწიოს გამჭირვალე მონიტორინგი და ასევე, აუცილებელია ამომრჩევლებისთვის ინფორმაციის მიწოდება გავრცელებული მცდარი წარმოდგენების გასაქარწყლებლად, რომ, თითქოსდა, ეს მოწყობილობები ვერ უზრუნველყოფენ ხმის მიცემის პროცედურის საიდუმლოების დაცვას.
- ამომრჩეველთა სიაში დაახლოებით 3.4 მილიონი დარეგისტრირებული ამომრჩეველია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩევლებს შესთავაზა სარეგისტრაციო ინფორმაციის გადამოწმებისა და მათში შესწორებების შეტანის რამდენიმე ალტერნატიული გზა, როგორც პირისპირ, ისე ონლაინ. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართული დაინტერესებულ მხარეებს განსაკუთრებული შეშფოთება არ გამოუქვამთ ამომრჩეველთა სიების ინკლუზიურობასთან დაკავშირებით, თუმცა ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა სიაში კვლავაც არის უზუსტობები, რომლებიც სავარაუდოდ გამომდინარეობს სიაში გარდაცვლილი პირებისა და საზღვარგარეთ *დე ფაქტო* მცხოვრები მოქალაქეების არსებობით.
- პარტიებიდან მიღებული 40 განაცხადიდან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 საარჩევნო სუბიექტი დაარეგისტრირა, რომელთაგანაც 19-მა კანდიდატთა სიები წარმოადგინა, საბოლოო ჯამში კი, მათგან 18 საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირდა. პოლიტიკურ პარტიებს ეკრძალებათ წინასაარჩევნოდ ბლოკების ჩამოყალიბება, რაც იწვევს იმას, რომ პოლიტიკური პარტიები *დე ფაქტო* კოალიციებში ერთიანდებიან და კოალიციის ფარგლებში თავის კანდიდატებს წამყვანი პარტიის სიებში არეგისტრირებენ. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებს არ გამოუთქვამთ შეშფოთება კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით.
- არჩეულ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა კვლავაც დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულია დებულებები, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს გენდერული თანასწორობის უზუნველსაყოფად განსაკუთრებული ნაბიჯები გადადგას, 2024 წელს მიღებული ცვლილებებით გაუქმდა საარჩევნო სიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტირება სხვა საკანონმდებლო ზომებთან ერთად, რომლებიც პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისკენ იყო მიმართული. აღნიშნულ ცვლილებას, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში, პროცესში ჩართული რამდენიმე დაინტერესებული მხარე აკრიტიკებს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე მისი პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის გამო.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 11 ოქტომბრის მონაცემების თანახმად სულ 1 185 კანდიდატია. ქალებს 3 სიაში უჭირავთ წამყვანი ადგილები და კანდიდატთა საერთო რაოდენობის 29%-ს შეადგენენ.

- საარჩევნო კამპანიის გზავნილები, რომლებიც ამ ეტაპამდე მოექცა დაკვირვების არეალში, ძირითადად უკიდურესად პოლარიზებული რიტორიკით არის გაჯერებული. სახელისუფლებო პარტიამ არჩევნები წარმოადგინა, როგორც მშვიდობასა და ომს შორის გასაკეთებელი არჩევანი მაშინ, როცა ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობა ამ არჩევნებს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმს უწოდებს. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბარში პროცესში ჩართული ზოგიერთ დაინტერესებული მხარე შეშფოთებას გამოთქვამდა დაშინების ტაქტიკის გამო, რაც სავარაუდოდ მათი საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებისა და, ასევე, ამომრჩევლების წინააღმდეგ იყო მიმართული სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერებისა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან. სიტყვიერი თავდასხმების ცალკეული შემთხვევები, წინასაარჩევნო კამპანიის მასალის განადგურებისა და ფიზიკური დაპირისპირებების ფაქტები როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების ანგარიშებში აისახა. არსებული რეგულაციების მიუხედავად ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონმდებლობასა და მის იმპლემენტაციას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით არაერთი ნაკლი აქვს.
- პოლიტიკური პარტიების შემოსავლებსა და ხარჯებს ზედამხედველობას უწევს ახლახან დაფუძნებული ანტიკორუფციული ბიურო, რომელმაც პარტიების დაფინანსების სიღრმისეული შემოწმება საარჩევნო კამპანიის პერიოდში დაიწყო და დაკისრებული მოვალეობის შესაბამისად დამატებითი ანგარიშების წარმოდგენა მოითხოვა. ყველა საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა თავისი პირველი შუალედური ანგარიში. რაც ანტიკორუფციულმა ბიურომ ვებგვერდზე გამოქვეყნა მიუხედავად იმისა, რომ კანონის მოთხოვნის შესაბამისად ბიუროს არ ევალება ამ ანგარიშების დეტალური შემოწმებისა და დასკვნების კენჭისყრის დღემდე გამოქვეყნება. თავდაპირველად ანტიკორუფციულმა ბიურომ რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, მათ შორის მოქალაქეთა სადამკვირვებლო ჯგუფი „განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად“ გამოაცხადა, რომელზეც საარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეგულაციები უნდა გავრცელდეს, მაგრამ მოგვიანებით მთავრობის თხოვნით თავისი გადაწყვეტილება გააუქმა.
- მედიაგარემო მრავალფეროვანი, მაგრამ ძალზედ პოლარიზებულია და ირეკლავს პოლიტიკურ და ბიზნეს ინტერესებს. მედიის წინააღმდეგ მიმდინარეობს სამოქალაქო ცილისწამების შესახებ არაერთი საქმის განხილვა და ჟურნალისტთა წინააღმდეგ მიმართული მუქარები კვლავაც აქტუალურია. კანონმდებლობა მაუწყებელთა უმრავლესობას ავალდებულებს საარჩევნო სუბიექტებს ბოლოს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მიღებული შედეგების შესაბამისად უფასო საეთერო დრო გამოუყონ; საარჩევნო სუბიექტებს უფლება აქვთ თანაბარი ფასით შეიძინონ დამატებითი საეთერო დრო და მონაწილეობა მიიღონ დებატებში. ტელეკომპანიები ვალდებული არიან შეამოწმონ პოლიტიკური რეკლამის შინაარსი. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას

საეთერო დროის გამოყოფასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ზოგიერთი მედიამაუწყებელი დაჯარიმდა.

- არსებული მდგომარეობით საარჩევნო ადმინისტრაციამ და სასამართლოებმა დაახლოებით 120 საჩივარი/სარჩელი მიიღეს ძირითადად საარჩევნო კომისიების დაბალი რანგის წევრთა დანიშვნასთან, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასა და საარჩევნო კამპანიის წესების დარღვევასთან დაკავშირებით; საჩივართა უმრავლესობა არ დაკმაყოფილდა მათი არსებითად განხილვის შემდეგ. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართული რამდენიმე დაინტერესებული მხარე აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეების ეფექტური და მიუკერძოებელი შესწავლისა და განხილვის თვალსაზრისით კანონის აღსრულების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია.
- 10 ოქტომბრის მონაცემებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა 68 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას ჯამში 2 602 დამკვირვებლითა და 51 საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფს ჯამში 512 დამკვირვებლით. სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციამ ხანგრძლივადიანი სადამკვირვებლო ღონისძიებების განხორციელება წამოიწყო და ბევრმა მათგანმა აღნიშნა, რომ „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, რასაც საზოგადოებაში მათი საქმიანობის სტიგმატიზება მოჰყვა, ისინი უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ.

II. შესავალი

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია (ODIHR EOM) საქართველოს მთავრობის მოწვევითა და თავისი მანდატის შესაბამისად მუშაობას 11 სექტემბერს შეუდგა.¹ მისიას ხელმძღვანელობს მისიის ელჩი, ოუენ მერფი. მისიის ძირითადი გუნდი შედგება თბილისში მომუშავე 12 წევრისგან და 30 ხანგრძლივადიანი დამკვირვებლისგან, რომლებიც 19 სექტემბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით გადანაწილდნენ. მისიის წევრები ეუთოს 22 წევრი ქვეყნიდან შეირჩნენ; მათ შორის 48% ქალია. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR) წევრ ქვეყნებს კენჭისყრის დღეს პროცედურებზე დასწრების მიზნით 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა სთხოვა.

III. ზოგადი ინფორმაცია და პოლიტიკური კონტექსტი

27 აგვისტოს პრეზიდენტმა კონსტიტუციის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 26 ოქტომბერი გამოაცხადა. 2017 წელს ქვეყნის კონსტიტუციაში შესული ცვლილებების თანახმად ეს იქნება პირველი აღჩევნები, რომელიც სრულიად პროპორციული

¹ იხ. [ეუთო/ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ საქართველოში ჩატარებული არჩევნების შესახებ მომზადებული წინა ანგარიშები](#).

სისტემით ჩატარდება.² ეს არჩევნები ასევე იქნება პირველი არჩევნები მას შემდეგ, რაც საქართველომ 2023 წლის დეკემბერში ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი მიიღო; 2024 წლის ივნისის შემდეგ გაწევრიანების პროცესი *დე ფაქტო* შეჩერებულია.³

ქვეყნის პოლიტიკურ ლანდშაფტში დომინანტური წილი სახელისუფლებო პარტიას, „ქართულ ოცნებას“, უჭირავს, რომელიც ხელისუფლებაში 2012 წელს მოვიდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მანდატები ცხრა პარტიამ და კოალიციამ მოიპოვა; 150 მანდატიდან 90 „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული კოალიცია 36 მანდატით ყველაზე მსხვილი ოპოზიციური ფრაქცია გახდა.⁴ არჩევნების შემდგომი წლების განმავლობაში ოპოზიცია ხასიათდებოდა ფრაგმენტულობითა და შიდაპარტიული არასტაბილურობით, რამაც ახალი პოლიტიკური პარტიების წარმოქმნა განაპირობა.⁵ მომავალი არჩევნების წინ რამდენიმე ოპოზიციური პარტია სამ კოალიციად გაერთიანდა; ესენია: „კოალიცია ცვლილებებისთვის“ (რომელშიც შედიან: „ახალი“, „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „დროა!“ და „რესპუბლიკური პარტია“), „მლიერი საქართველო“ – (რომელსაც წარმოადგენს: „ლელო“, „ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედანი“ და „მოქალაქეები“), და „ერთობა საქართველოს გადასარჩენად“ (რომლის წევრებიც არიან: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“).⁶

არჩევნები მთავრობასა და პრეზიდენტს შორის გამდაფრებული პოლიტიკური პოლარიზაციისა და გაღრმავებული ანტაგონიზმის და, ასევე, სხვადასხვა კანონის მიღებით

² 2020 წლის არჩევნებზე პარლამენტის წევრები შერეული სისტემით აირჩიეს; მათ შორის 120 დეპუტატი მთელი ქვეყნის მასშტაბით დახურული პარტიული სიით პროპორციული სისტემით აირჩიეს, 30 დეპუტატი კი - ერთმანდატიან ოლქში მაჟორიტატული სისტემით.

³ საქართველომ ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადა 2022 წლის მარტში გააკეთა, კანდიდატის სტატუსი კი 2023 წლის დეკემბერში მიიღო იმ პირობით, რომ ის შეასრულებდა ევროკომისიის (EC) მიერ გაცემულ [რეკომენდაციებს](#). 2024 წლის ივნისში ევროკომისიის მიერ მომზადებული [დასკვნაში](#) აღნიშნულია, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ მიღებული კანონი კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციაში მითითებულ ნაბიჯებთან მიმართებაში უკუსვლას წარმოადგენს, რაც იწვევს პროცესის *დე ფაქტო* შეჩერებას.

⁴ სხვა პარტიები, რომლებმაც ასევე მოიპოვეს მანდატები იყვნენ: „ევროპული საქართველო“ – 5 მანდატი; „ლელო“ – 4 მანდატი; „სტრატეგია აღმაშენებელი“ – 4 მანდატი; „პატრიოტთა ალიანსი“ – 4 მანდატი; „გირჩი“ – 4 მანდატი; „მოქალაქეები“ – 2 მანდატი და „ლეიბორისტული პარტია“ – 1 მანდატი.

⁵ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარამ, დატოვა „ქართული ოცნება“ და პარტია „საქართველოსთვის“ ჩამოაყალიბა, „გირჩი“ კი ორ ფრაქციად გაიყო: „გირჩი - ახალი პოლიტიკური ცენტრი“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“. გარდა ამისა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა, ნიკანორ მელიამ და ნიკა გვარამიამ, ახალი პარტია ჩამოაყალიბეს სახელწოდებით „ახალი“.

⁶ იქიდან გამომდინარე, რომ არჩევნების წინ კოალიციების ჩამოყალიბება აკრძალულია, კოალიციებმა თავისი კანდიდატები თავიანთი წამყვანი პარტიების საარჩევნო სიებში დაარეგისტრირეს: „კოალიციას ცვლილებებისთვის“ წარმოადგენს პარტია „ახალი“, „მლიერ საქართველოს“ წარმოადგენს „ლელო“, ხოლო კოალიციას „ერთობა საქართველოს გადარჩენისთვის“ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. სხვა პარტიებმა, როგორებიც არიან: „პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოსთვის“ და „გირჩი - ახალი პოლიტიკური ცენტრი“ გადაწყვიტეს არცერთ კოალიციას არ შეერთებოდნენ.

საზოგადოებაში გამოწვეული უკმაყოფილების ფონზე მიმდინარეობს.⁷ 2023 და 2024 წლებში მსხვილმასშტაბიანი საპროტესტო აქციები გაიმართა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ, რომელიც თავდაპირველად, 2023 წელს, გაიწვიეს, მაგრამ მომდევნო წელს ხელახლა განიხილეს და 2024 წლის 28 მაისს მიიღეს.⁸ ამ მოვლენების მიმდინარეობისა და კანონის მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ, პროცესში ჩართულმა ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას (ODIHR EOM) აცნობა საპროტესტო აქციების მონაწილეთა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და დაშინების ფაქტების შესახებ. ივლისში პრეზიდენტმა და ოცდათვრამეტმა დეპუტატმა 122-ზე მეტ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ და მედიაორგანიზაციასთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა და მოითხოვა კანონის ნორმების ამოქმედების დროებითი შეჩერება. 9 ოქტომბერს სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე უარი თქვა კანონის ნორმების ამოქმედების შეჩერებაზე. ბევრმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის ODIHR-მა, შეშფოთება გამოთქვა, რომ ამ კანონის მიღებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე.⁹ 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელიც მკაცრად გააკრიტიკა არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, და მათ შორის ODIHR-ის არჩევნებზე დასამკვირვებლო მისიასთან შეხვედრისას პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ, როგორც ფუნდამენტური თავისუფლებების შემზღვევა და ღებუთემის სტიგმატიზებისკენ მიმართული ინსტრუმენტი.¹⁰

⁷ 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებით დასრულდა 2010 წელს ინიცირებული პროცესი, რაც საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო სისტემაზე გადასვლას გულისხმობდა. ამ ცვლილების შედეგად ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, პირდაპირი წესით არჩეული ბოლო პრეზიდენტი. 2023 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნება“ შეეცადა იმპიჩმენტი გამოეცხადებინა პრეზიდენტისთვის მთავრობის თანხმობის გარეშე განხორციელებული უცხოური ვიზიტების გამო, რაც წარუმატებლად დასრულდა.

⁸ კანონის თანახმად იმ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ და მედიაორგანიზაციებს, რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდან მოდის, დარეგისტრირების, ანგარიშის წარმოდგენისა და ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნები დაუწესდებათ, რაც მათ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარების“ იარაღად აწებებს. 8 ოქტომბრისთვის იუსტიციის სამინისტროს ნუსხაში 476 განმცხადებელიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი 20 ორგანიზაცია დარეგისტრირდა.

⁹ სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციამ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ კანონის მიღებისას მათ შენიშნეს მათ წინააღმდეგ მიმართული წეზოლის, ფიზიკური და სიტყვიერი თავდასხმების საგანგაშო მატება, მათ შორის სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლების მხრიდან. იხ. ODIHR-ის გადაუდებელი [სამართლებრივი ანალიზი](#) და ასევე, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის სასწრაფო [დასკვნა](#) „უცხოური ზეგავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ თაობაზე.

¹⁰ კანონი მიემართება ქორწინების, შვილად აყვანისა და სქესის შეცვლის მიზნით ჩატარებულ სამედიცინო პროცედურების საკითხებს და კრძალავს შეკრებებსა და სკოლებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც „პოპულარიზაციას უწევს“ არაპეტეროსექსუალურ ურთიერთობებს, სქესის შეცვლისა და არაპეტეროსექსუალური პირების მიერ შვილად აყვანის საკითხებს. ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია 2024 წლის 26 ივნისს გამოქვეყნებულ სასწრაფო [დასკვნაში](#) მოუწოდებს საქართველოს მთავრობას „სრულიად გაიწვიოს ეს საკანონმდებლო წინადადება და არ მიიღოს კანონი“. 4 სექტემბერს ევროკავშირმა [დაგმო](#) კანონის „ნაჩქარევად“ მიღება.

არჩეულ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობა კვლავაც დაბალია მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფომ განსაკუთრებული ზომები უნდა გაატაროს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მოქმედ საპარლამენტო შემადგენლობაში ქალებს მანდატების 19.3 პროცენტი, მერის 64 მანდატიდან კი მხოლოდ 3 თანამდებობა უკავიათ. აპრილში პარლამენტმა საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდერული კვოტები გააუქმა და შეზღუდა სხვა დროებითი ზომები, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობას. გამოითქვა მოსაზრება, რომ გენდერული კვოტირება პოზიტიური დისკრიმინაციის ერთგვარი ფორმაა და მან თავისი ძირითადი ამოცანა უკვე შეასრულა.¹¹ ODIHR-მა ნეგატიურად შეაფასა მიღებული ცვლილებები და მოუწოდა „გადაუდებელი ნაბიჯები გადაიდგას ეფექტური დროებითი ზომების მისაღებად, რათა აღმოიფხვრას საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაცია“.¹² გარდა ამისა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ ეს ცვლილება უკან გადადგმული ნაბიჯია, რაც უარყოფით ზეგავლენას იქონიებს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობაზე.

IV. სამართლებრივი ჩარჩო და საარჩევნო სისტემა

არჩევნები რეგულირდება 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით, 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსით, 1997 წელს მიღებული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით.¹³ ბოლოს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კანონში განხორციელდა 20-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება; მათ შორის სულ ბოლოს 2024 წლის ივნისში. ODIHR -ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართული რამდენიმე მხარე შემოთავაზებდა ძალიან ხშირი და არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე განხორციელებული ცვლილებების გამო, რაც მნიშვნელონად აზრიანებს სამართლებრივი ჩარჩოს სტაბილურობას.

¹¹ 2020 წელს შემოღებული გენდერული კვოტირების მოთხოვნის თანახმად კანდიდატთა სიაში ყოველი მეოთხე კანდიდატი საპირისპირო სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს. 2023 წელს პარლამენტმა ეს კვოტები 2032 წლის არჩევნებამდე გაახანგრძლივა. 2024 წლის აპრილში პარტია „გირჩის“ წარმომადგენელმა დეპუტატებმა, რომლებმაც ეს ცვლილებები დააინიცირეს, მმართველი პარტიის მხარდაჭერა მოიპოვეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების სანაცვლოდ. იხ. ODIHR მიერ 2024 წლის ივნისში გამოქვეყნებული [დასკვნა](#), რომლის თანახმადაც „საარჩევნო გენდერული კვოტების გაუქმება არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციურ ვალდებულებას, განსაკუთრებული ზომები გაატაროს კაცებსა და ქალებს შორის არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

¹² იხ. 2024 წლის ივნისში ODIHR-ის მიერ გამოქვეყნებული [მოსაზრება](#) საქართველოს ორი ორგანული კანონის შესახებ საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონებში გენდერულ კვოტირებისთან დაკავშირებით“.

¹³ სხვა რელევანტური კანონები მოიცავს 2024 წელს მიღებულ კანონს „მაყწყებლობის შესახებ“, 1997 წელს მიღებულ კანონს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, 1999 წელს მიღებულ სისხლის სამართლის კოდექსს, 1984 წელს მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსს, 1999 წელს მიღებულ „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს“, 1999 წელს მიღებულ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“.

2022 წლის ცვლილებები ფართო კონსულტაციების შედეგად და პარტიათა მხარდაჭერით იყო მიღებული, და მიუხედავად იმისა, რომ მათ ვერ შეძლეს რეკომენდებული ყოვლისმომცველი რეფორმის გატარება, ისინი მიემართებოდნენ წარსულში ODIHR-ის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მათ შორის საარჩევნო ორგანოების დაბალი რანგის წევრთა და ადგილობრივ დამკვირვებელთა მიუკერძოებლობის გაძლიერების, ავტომატური გადათვლის ინიცირებისთვის დამატებითი საფუძვლის შექმნის და საარჩევნო დავების გადაწყვეტის პროცესში ვადების მოწესრიგების შესახებ.¹⁴ 2024 წლის ცვლილებებმა შეცვალა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, გააუქმა ოპოზიციის წარმომადგენელი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა და შეცვალა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და არჩევის პროცედურა. სამთავრობო უწყებები განმარტავდნენ, რომ ეს ცვლილებები მიემართებოდა ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნებთან დაახლოებას; თუმცა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართული ბევრი დაინტერესებული მხარე აღნიშნავდა, რომ მათ მიღებამდე არ გამართულა საჯარო კონსულტაციები და არ მიღწეულა კონსენსუსი, რაც შემფოთების საფუძველს ჰქმნის, რადგან ამ ცვლილებებმა შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა იქონიონ. (იხ. *საარჩევნო ადმინისტრაცია*).¹⁵ პრეზიდენტმა ამ ცვლილებათა უმრავლესობას ვეტო დაადო, მაგრამ პარლამენტმა ყველა მათგანი დაძლია.¹⁶

ODIHR-ის მიერ გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია კვლავაც გაუთვალისწინებელია, მათ შორის ის რეკომენდაციებიც, რომლებიც შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების დანიშვნასა და დასახელებას, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ რეგულაციების ამოქმედებას, საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების გაძლიერებასა და ზედამხედველობას, საარჩევნო კამპანიის მედისთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწას და საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის ჩარჩოს გაძლიერებას. გარდა ამისა, ხშირი ცვლილებების მიუხედავად, კანონმდებლობა კვლავაც შეიცავს შეუსაბამობებს და სიცხადე აკლია ბევრი დებულების განმეორებადი და გარდამავალი ბუნების გამო.¹⁷

პარლამენტი, რომელიც 150 დეპუტატისგან შედგება აირჩევა პირდაპირ საარჩევნო უფლების საფუძველზე ოთხი წლის ვადით. პარტიები მთელი ქვეყნის მასშტაბით დახურული სიებით სრულიად პროპორციული სისტემით ასპარეზობენ. საარჩევნო სუბიექტებმა პარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად ხუთპროცენტის ბარიერი უნდა გადალახონ. წინასაარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბება აკრძალულია.

¹⁴ იხ. 2022 წელს ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის [ერთობლივი დასკვნა](#).

¹⁵ ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი დაუჭირა მხოლოდ ერთ ცვლილებას, რომელიც გულისხმობდა გენდერული კვოტების გაუქმებას.

¹⁶ 2024 წელს მიღებული ხუთი პაკეტიდან პრეზიდენტმა სამს ვეტო დაადო: გენდერული კვოტების გაუქმებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ოპოზიციის მიერ დანიშვნის გაუქმებას და ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ცვლილებას.

¹⁷ კანონი დეტალურად არ განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტს მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი გამოიყენება ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორც არის უფასო საეთერო დროის გამოყოფა. გარდა ამისა, საარჩევნო კოდექსი და სხვა კანონები კვლავაც შეიცავენ მითითებებს ისეთ დებულებებზე, რომლებიც აღარ არსებობს.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 73 საოლქო, 3031 ქვეყნის ტერიტორიაზე და 60 ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოქმედი საუბნო საარჩევნო კომისიისგან.¹⁸ კომისიები თითოეულ დონეზე შედგება რვა არაპარტიული და ცხრამდე პარტიების მიერ დასახელებული წევრისგან. არაპარტიული წევრები უნდა ფლობდნენ პროფესიულ სერტიფიკატებს და უნდა აკმაყოფილებდნენ სამართლებრივ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს მათ მიუკერძოებლობას.¹⁹

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ხუთი წლის ვადით ინიშნებიან. ამჟამად მოქმედი 17 წევრიდან ოთხი (24%) ქალია. ბოლოდროინდელმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არაპარტიული წევრების, მათ შორის თავმჯდომარის, კანდიდატის წარდგენის უფლებამოსულება პრეზიდენტიდან პარლამენტის თავმჯდომარეზე გადაიტანა; გარდა ამისა, გაუქმდა ოპოზიციის მიერ წარდგენილი თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაც. პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში გამოთქვა წუხილი, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებები სახელისუფლებო პარტიას პარტიას აძლევს აბსოლუტური კონტროლის შესაძლებლობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრთა კანდიდატების შერჩევისა და წარდგენის პროცესზე, რაც სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმას შორის ურთიერთდობის ჩამოყალიბების საჭიროებას უგულვებელყოფს, რაც წინა კანონმდებლობით სავალდებულო იყო.²⁰

¹⁸ არჩევნები არ ჩატარდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ეს ტერიტორიები ამჟამად საქართველოს მთავრობის კონტროლს მიღმაა. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს [გადაწყვეტილება](#) საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“. საზღვარგარეთ ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება 42 ქვეყანაში. ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი დამატებითი საუბნო საარჩევნო კომისიები შესაძლოა დაინიშნონ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გახსნილ საოლქო საარჩევნო კომისიებში და 50-ზე მეტი დარეგისტრირებული ამომრჩევლისთვის სამკურნალო დაწესებულებებში.

¹⁹ საუბნო საარჩევნო კომისიების არაპარტიულ წევრებად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც საარჩევნო სუბიექტი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, დამკვირვებელი და/ან მედია საშუალების წარმომადგენელია და ასევე ის პირები, რომლებიც ბოლო ორი საყოველთაო არჩევნების დროს პარტიის მიერ კომისიის წევრად ან პარტიის წარმომადგენლად იყო გამწესებული, საარჩევნო სუბიექტი ან ბოლოს ჩატარებული არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიის შემწირველი იყო. 2022 წლის დეკემბერში კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს ასევე მოეთხოვებათ სათანადო სერტიფიკატების ფლობა.

²⁰ ცენტრალური საარჩევნო კომისიის რვა არაპარტიულ წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს, პარლამენტი ირჩევს იმ კანდიდატთაგან, რომლებსაც ღია კონკურსით პარლამენტის თავმჯდომარე ასახელებს. ისინი აირჩევიან დეპუტატთა სრული შემადგენლობის ხმათა სამი მეხუთედით, ან, მარტივი უმრავლესობით, იმ შემთხვევაში თუ ხუთი კენჭისყრის შემდეგ შეთანხმება არ შედგა. ამჟამინდელი თავმჯდომარე 2021 წლის აგვისტოში ექვსი თვის ვადით დაინიშნა. მოგვიანებით კი, პროცესის დასაძვრელად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ვადა გახანგრძლივდა, რაც ზოგიერთ ოპოზიციური პარტიის მხრიდან სადავო გადაწყვეტილებად შეფასდა. 2024 წლის აპრილში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოთხი არაპარტიული წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, ხელახლა აირჩიეს მაშინ, როცა დარჩენილი არაპარტიული წევრების მანდატის ვადა 2025 წელს იწურება.

საარჩევნოდ, საოლქო საარჩევნო კომისიების ხუთ მუდმივ წევრს შეუერთდა ცხრამდე პარტიების მიერ დასახელებული და სამი დროებით დასახელებული არაპარტიული წევრი.²¹ საუბნო საარჩევნო კომისიები დროებით, თითოეული არჩევნების წინ წარმოქმნილ ორგანოებს წარმოადგენენ; მათი უმრავლესობა 26 სექტემბრამდე შედგა. ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია და პოლიტიკური პარტია აღნიშნავდა, რომ გაუჭირდათ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიაში წევრობის თანამდებობებზე კანდიდატების დასახელება, რის მიზეზადაც დაბალი ანაზღაურება და ასევე, ადგილობრივი ხელისუფლებებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან პოლიტიკური წეზოლა დასახელდა. ოთხდღიანი ვადის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიებში შეირჩა წარმოდგენილი 25 425 გამცხადებლიდან 24 047 არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი; განაცხადებების საერთო რაოდენობა ერთ პროცენტზე ოდნავ ნაკლებით აჭარბებდა შერჩევის რაოდენობას, რაც ეფექტურად ამცირებს კონკურენციას.²² ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 67 %-ს შეადგენენ, საუბნო საარჩევნო კომისიებში - 74%-ს, თავმჯდომარეები კი საოლქო საარჩევნო კომისიების 41%-სა და საუბნო საარჩევნო კომისიების 69%-ში არიან.

ამჟამინდელი მდგომარეობით საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა საკანონმდებლო ვადა დაიცვა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო რამდენიმე ახალი რეგულაცია, ცვლილებები შეიტანა ზოგიერთ რეგულაციაში, გამართა რეგულარული, ონლაინ-რეჟიმში გადაცემული სესია და ყველა გადაწყვეტილება დროულად გამოაქვეყნა. 2024 წლის ივნისში მიღებული ცვლილებების თანახმად ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია ერთსა და იმავე სესიაზე მეორე კენჭისყრით მარტივი უმრავლესობით, თუკი მოთხოვნილი უმრავლესობის ორი მესამედი ვერ შედგა, რაც ამცირებს ფართო კონსენსუსის საჭიროებას. საარჩევნო ადმინისტრაციის ტექნიკური და ორგანიზაციული კომპეტენციების მიმართ არსებული ფართო ნდობის მიუხედავად, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში პროცესში ჩართული ზოგიერთი დაინტერესებული მხარე გამოთქვამდა წუხილს, რომ ამ ცვლილებებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში წევრთა დანიშვნის ახალ მეთოდთან ერთად შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობაზე. მას შემდეგ, რაც არჩევნების თარიღი გამოცხადდა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 13 განაცხადება გამოაქვეყნა, რომლებიც საარჩევნო პროცესის შესახებ გავრცელებულ დეზინფორმაციას მიემართებოდა, რაც აღქმული იყო, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის კეთილსინდისიერებაზე მიტანილი იერიში.²³

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა საოლქო საარჩევნო კომისიების, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების გადამზადება. სექტემბერში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დაიწყო მრავალეტაპიანი ტრენინგ-პროგრამა, რომლის მთავარი თემაც

²¹ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი არაპარტიული წევრობის 219 ვაკანტური ადგილის შესავსებად 263 განაცხადი მიიღო. 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 41-ში დროებით არაპარტიული თანამდებობების დასაკავებლად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმდენივე განაცხადი მიიღო, რამდენი ვაკანსიაც იყო გამოცხადებული.

²² კანდიდატთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, 193 ვაკანტური ადგილისთვის კონკურსი ხელახლა გამოცხადდა. საუბნო საარჩევნო კომისიების 9 090 წამყვან პოზიციაზე საოლქო საარჩევნო კომისიებმა 9 111 განაცხადი მიიღეს.

²³ იხ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესრელიზი [აქ](#).

კენჭისყრის დღის პროცედურები იყო. გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციამ წამოიწყო ამომრჩეველთა ინფორმირებისა და განათლების ფართომასშტაბიანი კამპანია, რომელიც მოიცავდა პირისპირ შეხვედრებს, კენჭისყრის დღის სიმულაციურ სავარჯიშოებს და აუდიო-ვიზუალური მასალას, რომელიც მედიასაშუალებებითა და ონლაინ გადაცემოდა. მათი მთავარი ფოკუსი ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მონაცემების გადამოწმება, საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება და საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობის შემოწმებას შეეხებოდა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ინფორმაცია მიაწოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის გაღებული უწყვეტი ძალისხმევის შესახებ, მათ შორის კომისიის ვებგვერდზე განხორციელებული ცვლილებებისა და ასევე, საარჩევნო უბნებზე დამხმარე მოწყობილობების უზრუნველყოფის თაობაზე. ამომრჩეველთა საგანმანათლებლო მასალები მოიცავს ჟესტურ ენაზე შესრულებულ თარგმანს და ვიდეორგოლებს სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად საარჩევნო უბნების დაახლოებით 40% ადაპტირებულია განსაკუთრებული ფიზიკური საჭიროებების მქონე მოქალაქეების მისაღებად.

VI. საარჩევნო ტექნოლოგიები

2022 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა კენჭისყრის დღეს მანიპულაციებისა და ადამიანური შეცდომებისგან დასაზღვევად საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება დააინიცირა. 2023 წლის აგვისტოში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეარჩია კერძო მომწოდებელი, *Smartmatic*-ი, რომელმაც კომისიას 4 865 საარჩევნო ხმების დამთვლელი ოპტიკური სკანერი და 7 526 ამომრჩეველთა ოდენტიფიცირების მოწყობილობა მიაწოდა. ამ არჩევნებზე ჯამში 2 263 საარჩევნო უბანი (75%) აღჭურვილი იქნება ამომრჩეველთა იდენტიფიცირების, საარჩევნო ბიულეტენების სკანირებისა და შედეგების გადაცემის ელექტრონული მოწყობილობებით.²⁴ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი გაანგარიშებით ხმათა დაახლოებით 90% ელექტრონულად დაითვლება. კანონის თანახმად ეს შედეგები წინასწარ შედეგებად მიიჩნევა; საბოლოო შედეგების ოქმებში კი მხოლოდ ხელით დათვლილი შედეგები შევა. მთელი ქვეყნის მასშტაბით კენჭისყრის დღის სიმულაციური სავარჯიშო 11 სექტემბერს 598 უბანში ჩატარდა, რამაც 122 864 ამომრჩეველს ახალი ტექნოლოგიების გამოცდის შესაძლებლობა მისცა.²⁵

²⁴ ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისა და ხმების დამთვლელი მოწყობილობების გამოყენება შესაძლებელი იქნება იმ საარჩევნო უბნებში, რომლებზეც სულ მცირე 3000 მოქალაქეა დარეგისტრირებული და მუნიციპალურ ცენტრებში ან უბნებში, რომლებიც ამ ცენტრებიდან 20 კილომეტრის რადიუსში მდებარეობენ. წინასწარი შედეგების გადასაცემად განკუთვნილი ელექტრონული მოწყობილობები გამოყენებული იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა საარჩევნო უბანში.

²⁵ გარდა ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩატარა ელექტრონული ტექნოლოგიების რვა საპილოტე სავარჯიშო; მათ შორის, ბოლოს 2023 წლის 1-ელ ოქტომბერს პარლამენტის შუალედურ და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებზე, როდესაც 103 საარჩევნო უბანი ელექტრონული მოწყობილობებით აღიჭურვა. 2024 წლის ივლისში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 89-ჯერ გამართა საარჩევნო ტექნოლოგიების მცირემასშტაბიანი დემონსტრაცია, რომელშიც 43 864 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა.

ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა მხარს უჭერს ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების შემოღებას და მათ კენჭისყრის დღის პროცედურებისადმი ნდობის გაძლიერების ინსტრუმენტად მიიჩნევს.²⁶ თუმცა, ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ შემოთქვა გამოთქვა, რომ თითოეულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდა 1500-დან 3000-მდე მაშინ, როცა საუბნო საარჩევნო კომისიებს ამ მოწყობილობების გამოყენების საკმარისი გამოცდილება არ გააჩნიათ, შესაძლოა უბნების გადავსების მიზეზი გახდეს. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ დაინტერესებულმა რამდენიმე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა ამომრჩეველთა განათლების საჭიროება ამ მოწყობილობების შესახებ გავრცელებული მცდარი წარმოდგენების (რომ, თითქოსდა, ისინი ვერ უზუნველყოფენ ხმის მიცემის საიდუმლოების დაცვას) გასაქარწყლებლად, და ასევე, ისიც, რომ აუცილებელია სისტემის უწყვეტი მონიტორინგი.²⁷

VII. ამომრჩეველთა უფლებები და რეგისტრაცია

კენჭისყრის დღეს ხმის მიცემის უფლება აქვს 18 წელს მიღწეულ ყველა მოქალაქეს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და/ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მხარდაჭერის მიმღებად არიან ცნობილი და მოთავსებული არიან სტაციონარში. ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს და განკარგავს ამომრჩეველთა ერთიან სიას, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრისა და სხვა უწყებების მონაცემებზე დაყრდნობით დგება.²⁸

მოქმედი საინდენტიფიკაციო დოკუმენტების მქონე ამომრჩეველები მათი რეგისტრაციის მისამართის მიხედვით ავტომატურად ირიცხებიან ამომრჩეველთა სიაში, ვადაგასული საინდენტიფიკაციო დოკუმენტების მფლობელი მოქალაქეები დოკუმენტების განახლებამდე ერთიანი საარჩევნო სიიდან ამოირიცხებიან. 2023 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2011 წლის ივლისამდე გაცემული უვადო პირადობის დამადასტურებელი მოწმობები 2024 წლის ივნისში ძალადაკარგულად გამოცხადდა. დოკუმენტების დროული განახლებისთვის სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტომ ფართომასშტაბიანი კამპანია წამოიწყო და პირადობის დამადასტურებელი

²⁶ არჩევნებზე გამოყენებული მოწყობილობების შესაბამისობის აუდიტი 2023 წლის ოქტომბერში განხორციელდა, რომელმაც დაასკვნა, რომ ელექტრონული დანადგარები და მათი პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს, ეროვნულ კანონმდებლობას და ტექნიკურ მახასიათებლებს. 18 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ ამ არჩევნებისთვის სისტემის დამატებითი შემოწმება კენჭისყრის დღემდე მცირე ხნით ადრე და კენჭისყრის დღესაც მოხდება.

²⁷ დამატებითი წუხილი გამოითქვა ელექტრონული და ხელით დათვლილი საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობის კრიტერიუმებს შორის სხვაობების თაობაზე, რამაც შესაძლოა უზუსტობები გამოიწვიოს.

²⁸ 2013 წლიდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია არის სამოქალაქო რეესტრის გაწმენდა, რაც გულისხმობს სიიდან განმეორებით შეყვანილი და გარდაცვლილი ამომრჩეველების შესახებ დაცული მონაცემების ამოშლას. მონაცემების გადასამოწმებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო იღებს რელევანტურ ინფორმაციას ჯანდაცვის უწყებების, სხვადასხვა სამინისტროებისა და მუნიციპალური ორგანოებიდან იმ პირების შესახებ, რომლებსაც სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ უსარგებლიათ სოციალური სერვისებით. შემდეგ, მიღებული ინფორმაცია შესაბამის მოქალაქეებთან გადამოწმდება.

მოწმობების უფასოდ გაცემა დაიწყო.²⁹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ 12 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე პერიოდში სააგენტოს წარსულში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან რეგისტრაციის მისამართის არმქონე 1400-მა მოქალაქემ მიმართა, რომლებიც ამომრჩეველთა ერთიან სიაში ჩაირიცხნენ.³⁰

მოქალაქეებს შეეძლოთ მათ შესახებ დაცული მონაცემები ონლაინ, სამთავრობო სერვისცენტრებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ოფისებში ან საუბნო საარჩევნო კომისიებში გადაემოწმებინათ და, საჭიროების შემთხვევაში, 8 ოქტომბრამდე მოეთხოვათ მათში ცვლილების შეტანა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სია გადასამოწმებლად ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ და ერთმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გამოითხოვა. ამომრჩეველთა სპეციალური სიები შედგება მათთვის, ვინც ვერ ახერხებს დადგენილ საარჩევნო უბანში მისცეს ხმა; მათ შორის, იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ გადასატანი ყუთით ხმის მიცემა; საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, რომლებიც კენჭისყრის დღეს სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებენ და საავადმყოფოებში, სტაციონარებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეებისთვის.³¹ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართული მხარეების უმრავლესობას არ გამოუთქვამს განსაკუთრებული შეშფოთება ამომრჩეველთა სიის სიზუსტესა და ინკლუზიურობასთან დაკავშირებით; თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ამომრჩეველთა სიაში შესაძლოა კვლავაც ირიცხებოდნენ გარდაცვლილი ამომრჩევლები და ამომრჩევლები, რომლებიც *დე ფაქტო* საზღვარგარეთ ცხოვრობენ. 2 ოქტომბრის მონაცემებით ამომრჩეველთა წინასწარი სიებში 3 482 952 ამომრჩეველია დარეგისტრირებული.

VIII. კანდიდატთა უფლებები და რეგისტრაცია

კანდიდატად დარეგისტრირების უფლება აქვთ კენჭისყრის დღემდე 25 წელს მიღწეულ დარეგისტრირებულ ამომრჩევლებს, რომლებსაც საქართველოში სულ მცირე 10 წელი უცხოვრიათ; გარდა იმ პირებისა, რომლებსაც ჩამორთმეული აქვთ კანდიდატად რეგისტრაციის უფლება ან სასჯელს იხდიან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. კანდიდატების დასახელების უფლება მხოლოდ დარეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებს

²⁹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემების თანახმად, 1 ოქტომბრისთვის დაახლოებით 260 000 ასეთი მოქალაქიდან 194 118-მა (75%) გამოცვალა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

³⁰ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე ამომრჩევლები დარეგისტრირდნენ ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

³¹ საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები, რომლებიც საგარეო სამინისტროს საკონსულო აღრიცხვაზე იმყოფებიან ავტომატურად რეგისტრირდებიან საზღვარგარეთ ხმის მიმცემთა სპეციალურ სიებში; სხვა ამომრჩევლებს შესაძლებლობა ჰქონდათ რეგისტრაცია 7 ოქტომბრამდე გაეცლოთ. 5 ოქტომბერს, საზღვარგარეთ ამომრჩევლად დარეგისტრირებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე რეაგირებისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოსცა დადგენილება, რომლის თანახმადაც ის ამომრჩევლები, რომელთა მისამართების სარეგისტრაციო მონაცემებში ხარვეზები ფიქსირდება, დარეგისტრირდებიან ქვეყნის საზღვრებს მიღმა მყოფი მოქალაქეებისთვის განკუთვნილ ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში. 26 სექტემბრისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით საკონსულო აღრიცხვის ელექტრონულ რეესტრში 65 508 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული.

აქვთ. ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებისა საწინააღმდეგოდ და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუთავსებლობის მიუხედავად, დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის დებულებები არ შემუშავებულა.³² იმ პარტიებს, რომლებიც არ არიან წარმოდგენილი პარლამენტში დასარეგისტრირებლად სულ მცირე 25 000 მხარდამჭერის ხელმოწერის წარმოდგენა ევალებათ მაშინ, როცა პარლამენტში წარმოდგენილ პარტიებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ხელმოწერების შეგროვება არ მოეთხოვებათ.

კანდიდატთა რეგისტრაცია ორ ეტაპად ჩატარდა. არასაპარლამენტო პარტიებს შესაძლებლობა ჰქონდათ ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის დამატებითი ხელმოწერების წარმოსადგენად 15 ივლისამდე მიემართათ.³³ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 30 განმცხადებელიდან 11 კანდიდატს არასაკმარისი რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების ან სხვა სარეგისტრაციო მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, და 2 პარტიას განცხადების შეუსაბამობის გამო, უთხრა უარი.³⁴ 30 აგვისტომდე დადგენილ ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ათმა საპარლამენტო პარტიამ მიმართ რეგისტრაციის მოთხოვნით. სულ ჯამში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 პოლიტიკური პარტია დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტებად.

დარეგისტრირებულ პარტიებს შეეძლოთ თავიანთი კანდიდატთა სიები 26 სექტემბრამდე წარმოედგინათ. კანდიდატებს ეკრძალებათ სხვა დარეგისტრირებული პარტიის წევრობა მაშინც კი, თუ ის პარტია არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში. კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში, 6 ოქტომბრამდე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოდგენილი 19 კანდიდატთა სიიდან 18 დაარეგისტრირა.³⁵ 2024 წლის მაისში მიღებული ცვლილებები პოლიტიკურ პარტიებს უფლებას აძლევს თავისი მოადგილეები საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებული ამომრჩევლებისთვის „დელეგატებად“ გაამწესონ; ამ შესაძლებლობით მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ ისარგებლა. ბოლო დროს კანდიდატთა სიებში გენდერული კვოტირების მოთხოვნის გაუქმების შედეგად, 1 185 საპარლამენტო კანდიდატიდან 29% ქალია; ქალები 18 სიიდან 3 სიაში წამყვან ადგილებზე არიან წარმოდგენილი. ბოლოს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე ქალები პარტიული სიების 44.3% წარმოადგენდნენ. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეებს არ გამოუთქვამთ წუხილი კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით.

³² 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის პარაგრაფი 7.5-ის თანახმად წევრმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ „ადამიანის ძალისხმევას, დისკრიმინაციის გარეშე დაიკავოს პოლიტიკური და საჯარო თანამდებობა დამოუკიდებლად ან როგორც პარტიის ან სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელმა“.

³³ კანონის თანახმად პოტენციურ საარჩევნო სუბიექტებს სამი დღის ვადა ეძლევათ სარეგისტრაციო დოკუმენტებში და შემდგომ მათ მიერ ჩაბარებულ კანდიდატთა სიაში დაფიქსირებული ხარვეზების შესავსებად. იმ 11 კანდიდატიდან, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე, შვიდმა პოტენციურმა საარჩევნო სუბიექტმა ვერ შეძლო დაფიქსირებული უზუსტობის დადგენილ ვადაში გამოსწორება. ერთი პარტიამ, რომელსაც უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ხელახლა შეიტანა განაცხადი და დარეგისტრირდა.

³⁴ ერთ პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მისთვის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველზე; მეორე პარტიას კი უარი ეთქვა მისი თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეჩერების გამო.

³⁵ ჩაბარებულთაგან კანდიდატთა ერთი სია ნაკლოვანი იყო; განმცხადებლებმა ვერ შეძლეს ამ ნაკლოვანებების გასწორება.

IX. წინასაარჩევნო კამპანია

კანონი წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად სამართლიან პირობებს აწესებს. ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი 27 აგვისტოს დაიწყო და ამ დრომდე საკმაოდ მშვიდ გარემოში მიმდინარეობს; საარჩევნო სუბიექტთა უმრავლესობა კარდაკარ შემოვლის ღონისძიებებით, სოციალური ქსელში აქტიურობით, შეხვედრების და იშვიათად შედარებით ფართომასშტაბიანი აქციების ჩატარებით არის დაკავებული. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა შეშფოთება გამოთქვა სავარაუდოდ სახელისუფლებო პარტიის მხარდამჭერთა და სახელმწიფო უწყებების მიერ მართული დაშინების ტაქტიკის გამო, რომელიც მათი წინასაარჩევნო კამპანიებისა და, ასევე, ამომრჩეველთა წინააღმდეგ არის მიმართული.³⁶ რამდენიმე შემთხვევაში ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეები მათი საარჩევნო ღონისძიებების ჩაშლის, სიტყვიერი შეურაცხყოფის, საარჩევნო კამპანიისთვის განკუთვნილი მასალის განადგურებისა და ფიზიკური თავდასხმების ცალკეულ ინციდენტებზე მიუთითებდნენ, რაც როგორც სახელისუფლებო ისე ოპოზიციური პარტიების ანგარიშებშიც აისახა.³⁷ ანგარიშებში ასევე აისახა საოფისე სივრცეების, საარჩევნო კამპანიის გასამართი და საარჩევნო მასალის გაკვრისთვის გაკუთვნილი ადგილების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები.³⁸

პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა თავისი პლატფორმების მეშვეობით სოციო-ეკონომიკურ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა მათი წინასაარჩევნო გზავნილები

³⁶ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წევრებთან საუბრისას ამომრჩეველთა დაშინებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა პროცესში ჩართული ოპოზიციური პარტიის დაინტერესებულმა მხარეებმა ახალციხეში, მცხეთაში, ოზურგეთში, სიღნაღში, დიდუბის რაიონში თბილისში და თელავში. ახალციხეში, ჩულურეთში, ქობულეთში, სენაკში, თბილისში, ზესტაფონში და ზუგდიდში დაინტერესებულმა მხარეებმა საჯარო სექტორში დასაქმებულ და სახელისუფლებო პარტიაზე სოციალური შემოწირულობების გამო დამოკიდებული პირების მიმართ განხორციელებული ზეწოლის სავარაუდო ფაქტებზე ისაუბრეს.

³⁷ 19 სექტემბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს თავს დაესხნენ ზუგდიდში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს. მიუხედავად იმისა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით თავდამსხმელები „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული პირები იყვნენ, „ქართული ოცნება“ ამ ბრალდებებს უარყოფს; საქმეს პოლიცია იძიებს. „ლელო“ განცხადებით მათ აქტივისტებს შეურაცხყოფა მიაყენეს 8 სექტემბერს ქარელში მიმდინარე კარდაკარ შემოვლის დრო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისები ბათუმში, ქედასა და ზესტაფონში გამარცხეს ან მათი ფასადები დაზიანეს. „ქართული ოცნების“ განცხადებით 4 სექტემბერს წყალტუბოში (იმერეთი) ერთ-ერთი წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემდეგ მიღებული სტრესის გამო გარდაიცვალა. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ასევე აცნობეს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო მასალების განადგურების შესახებ ბათუმში, სამგორსა და თელავში.

³⁸ ახალციხეში, დედოფლისწყაროში, გარდაბანში, რუსთავში, სიღნაღსა და თბილისში სივრცეების დაქირავებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ განაცხადეს პარტიებმა: „ახალი“, „საქართველოსთვის“, „ლელო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ ასევე აღნიშნა წინასაარჩევნო ღონისძიების ადგილთან წვდომის პრობლემა ახალციხესა და რუსთავში. ახალციხეში, ამბროლაურში, ბოლნისში, ჩულურეთში, თბილისსა და ზესტაფონში ოპოზიციურმა პარტიებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ყველა ან თითქმის ყველა საჯარო სივრცე, სადაც წინასაარჩევნო კომისიის მასალების გამოკვრა იქნებოდა შესაძლებელი, „ქართული ოცნების“ მიერ არის დაკავებული. ასეთივე მდგომარეობაა, ახმეტაში, ბათუმში, მცხეთაში, თბილისსა და თელავში, სადაც საარჩევნო სუბიექტები ჩიოდნენ სარეკლამო დაფების სივრცეები სიმწირის შესახებ, რადგან ისინი უკვე „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა დაკავებული.

უმეტესწილად ზოგად გეოპოლიტიკურ გარემოს უკავშირდება და მეტისმეტად განხეთქილების გამომწვევ რიტორიკასა და ვიზუალურ მასალას იყენებს.³⁹ სახელისუფლებო პარტიამ არჩევნები წარმოადგინა ომსა და მშვიდობას შორის გასაკეთებელ არჩევნად, სადაც მშვიდობას „ქართული ოცნება“ განასახიერებს, ომს კი - მათი ოპონენტები. ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობა ამ არჩევნებს საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმად მიიჩნევს და შიშობს, რომ მთავრობის პოლიტიკა შაფერხებს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს, რაც კონსტიტუციით გაცხადებული მიზანია.⁴⁰

ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად 2021 წელს საარჩევნო კოდექსი შეიცვალა, რაც მიზნად ისახავდა საარჩევნო კამპანიაში საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაწილეობის რეგულაციების გაძლიერებას.⁴¹ არჩევნებამდე 60 დღით ადრე აკრძალულია ისეთი ახალი პროექტების წამოწყება, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტში. მიუხედავად იმისა, რომ არ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, მთავრობამ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე რამდენიმე თვის განმავლობაში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი დიდი რაოდენობის ადამიანისთვის ფინანსური სტატუსი გაუმჯობესებინა გადაწყვიტა, რაც ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართულმა ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ ამომრჩეველთა გულის მოსაგებად წამოწყებულ ფინანსურ ინიციატივებად მიიჩნია.⁴²

³⁹ კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად: “საკონსტიტუციო ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ ხელი მოაწერა [„ქართულ ქარტიას“](#), რომელიც პრეზიდენტმა 2024 წლის მაისში გამოაცხადა გაცხადებული მიზნით, რომ დაუყოვნებლივ გააუქმონ „კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროპულ გზას“.

⁴⁰ კონსტიტუციის 78-ე მუხლის თანახმად: “საკონსტიტუციო ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში [უნდა] მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ ხელი მოაწერა [„ქართულ ქარტიას“](#), რომელიც პრეზიდენტმა 2024 წლის მაისში გამოაცხადა გაცხადებული მიზნით, რომ დაუყოვნებლივ გააუქმონ „კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება ევროპულ გზას“.

⁴¹ კანონის თანახმად აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაციის გამართვა საბიუჯეტო ან მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებებზე, ასევე საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. კანონი ასევე კრძალავს საარჩევნო სუბიექტებისთვის სახელმწიფო ან მუნიციპალურ ბალანსზე არსებული სივრცეებზე არათანაბარ წვდომას, სახელმწიფო ბალანსზე არსებული ნიშნავს წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას და შეხვედრების ჩატარებას საჯარო სექტორში დასაქმებულთა მონაწილეობით.

⁴² 2024 წლის თებერვალში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა [განაცხადა](#), რომ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ექნებოდათ, რაც 2024 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა სამინისტროში და მათ დაქვემდებარებულ უწყებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში 2 000-დან 3 000-მდე სტუდენტის დასაქმებას გულისხმობდა. იმავე თვეს მთავრობის [განაცხადებით](#), 150 000 პენსიონერზე მეტს, რომლებმაც 2023 წლამდე მაღალი საპროცენტო განაკვეთით აიღეს საბანკო სესხები, საპროცენტო განაკვეთი შეუმცირებოდა; 2024 წლის აპრილში პარლამენტმა [მხარი დაუჭირა](#) ძალიან სტრუქტურების პენსიაზე გასული თანამშრომლებისთვის პენსიის 560 ლარიდან 1 000 ლარამდე გაზრდის ინიციატივას. ამავე თვეს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩამოეწერა 2021 წლის 1 იანვრამდე გადაუხედი საგადასახადო დავალიანებები. ეს გადაწყვეტილება 145 000 გადასახადების გადამხდელს შეეხო. 2024 წლის ივნისში

სექტემბერში პარლამენტმა აამოქმედა კანონი, რომლის მეშვეობითაც სასჯელმისჯილთა ფართო სპექტრს ამნისტია შეეხო.⁴³ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ არსებული რეგულაციების მიუხედავად, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობა და მისი აღსრულება გარკვეულ ნაკლებს შეიცავს.

სოციალური ქსელებით მიმდინარე საარჩევნო კამპანია არ რეგულირდება. სოციალური ქსელები, განსაკუთრებით კი „ფეისბუკი“ ინფორმაციის მიღების მეორე ყველაზე მსხვილი წყაროა ტელევიზიის შემდეგ.⁴⁴ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნა ონლაინ წარმოებულ საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობა. თუმცა, გამოთქვა შემოფოთებაც, რომ ამ გზით შესაძლოა გავრცელდეს დეზინფორმაცია და მანიპულაციური ინფორმაცია, რაც ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს საარჩევნო კამპანიის დისკურსსა და ზოგადად, ამომრჩევლების მიერ გაკეთებულ არჩევანზე.⁴⁵ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია მონიტორინგს უწევს სოციალური ქსელებით მიმდინარე კამპანიას შემდგომში მისი ტონისა და თემატური სურათის თვისებრივი ანალიზის მოსამზადებლად.⁴⁶

X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხებს არეგულირებს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი, რასაც ემატება ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემუშავებული რეგულაციები. 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდა პოლიტიკური პარტიების მიერ ყოველწლიური

პრემიერ-მინისტრმა [განაცხადა](#), რომ 1 855 ფიზიკური პირი და 38 კორპორაცია გათავისუფლდებოდა კოვიდ-19 პანდემიის დროს დაკისრებული ჯარიმებისგან, რამაც საერთო ჯამში 5.6 მილიონი ლარი შეადგინა.

⁴³ პრეზიდენტმა დაგმო ახალი კანონი „ამნისტიის შესახებ“, როგორც „ამომრჩეველთა მოსყიდვის არაპირდაპირი საშუალება“.

⁴⁴ 2023 წელს ჩატარებული [საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევის](#) თანახმად, რესპონდენტთა 53%-მა ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ სოციალური ქსელები დაასახელა, რომელთა 91% თავის ძირითად სოციალური მედიის პლატფორმად „ფეისბუკს“ მიიჩნევს. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართულმა დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ბოლო დროს „ტიკტოკის“ მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა.

⁴⁵ სექტემბერში, Myth Detector-მა, ფაქტების გადამოწმებისა და გაბათილების პლატფორმამ, [ინფორმაცია გაავრცელა](#), რომ დაახლოებით ოცი ახლად შექმნილი ფეისბუკგვერდის შესახებ, რომლებიც 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ გამოჩნულად მოქმედებდნენ კონკრეტული პოლიტიკურ პარტიებს წინააღმდეგ. აგვისტოში, Meta-მ [განაცხადა](#), რომ გააუქმა კოორდინირებული არაავთენტური ქცევის ქსელი, რომელიც რუსეთის ფედერაციაში იყო დაფუძნებული და გამოჩნულად მოქმედებდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ. ამ ქსელში 76 ფეისბუკანგარიში, 30 გვერდი და „ინსტაგრამის“ 11 ანგარიში შედიოდა.

⁴⁶ 20 სექტემბერს, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაიწყო სოციალური ქსელებით მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი. ანალიზი ასევე მოიცავს „ფეისბუკის“, „ინსტაგრამის“ და „ტიკტოკის“ პლატფორმების მეშვეობით 60-ზე მეტი საარჩევნო სუბიექტისა და დაინტერესებული მხარისგან შემდგარი შერჩევის აქტივობაზე დაკვირვებას.

დანახარჯების ზედა ზღვარი მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1 პროცენტიდან 0.04 პროცენტამდე, რაც მიმდინარე წლისთვის 32 მილიონ ლარს შეადგენს; აიკრძალა იურიდიული პირებიდან მირებული შეწირულობები და პარტიების დაფინანსების წყაროების ზედამხედველობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ნაცვლად ახლად დაფუძნებულ ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა.⁴⁷

საპარლამენტო მანდატების მქონე პოლიტიკური პარტიები ყოველწლიურად იღებენ საბიუჯეტო დაფინანსებას.⁴⁸ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება ასევე შესაძლებელია პოლიტიკური პარტიის ფონდიდან და კერძო პირებისგან მიღებული ფულადი ან არამატერიალური შეწირულობებით. მოქალაქეებს შეუძლიათ წლის განმავლობაში ერთ ან მეტ პარტიას 60 000-მდე ლარი შეწირონ.⁴⁹ არსებული მდგომარეობით ყველაზე მეტი შეწირულობა „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო, რითიც მნიშვნელოვნად ჯაბნის სხვა საარჩევნო სუბიექტებს.⁵⁰

საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან ანტიკორუფციულ ბიუროს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშები არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან სამი კვირაში ერთხელ, საბოლოო ანგარიში კი არჩევნების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინონ.⁵¹ საარჩევნო სუბიექტებად დარეგისტრირებული ოცდაშვიდივე პოლიტიკურმა პარტიამ შუალედური ანგარიში დადგინა ვადაში, 19 სექტემბრამდე, მოამზადა. ანტიკორუფციულმა ბიურომ ანგარიშები იმავე დღეს ვებგვერდზე გამოაქვეყნა. არ არსებობს საკანონმდებლო დებულება, რომელიც ანტიკორუფციულ ბიუროს ავალდებულებს ამ ანგარიშების შესახებ მომზადებული თავისი დასკვნები კენჭისყრის დღემდე გამოაქვეყნოს. პარტიის დაფინანსების მოთხოვნებში აღმოჩენილი შეუსაბამოებების ან წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევისთვის ანტიკორუფციულ ბიუროს მხოლოდ სანქციების დაწესება და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია.

⁴⁷ აკრძალულია უცხოური, ანონიმური და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი და რელიგიური ინსტიტუტებიდან, და ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით გაღებული შეწირულობების მიღება.

⁴⁸ საბიუჯეტო დაფინანსება დაანგარიშდება მიღებული ხმების პროპორციულად და ხელმისაწვდომია იმ პარტიებისთვის, რომლებმაც ბოლოს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე ერთპროცენტის ბარიერი გადალახეს. 2020 წლის არჩევნების შემდეგ საბიუჯეტო დაფინანსებას 14 პარტია იღებდა. მათგან „ქართული ოცნება“ ყოველწლიური ჯამური დაფინანსების 41%-ს, ანუ 12.5 მილიონ ლარს იღებდა. 2022 წლის „მოქალაქეთა გაერთიანებების შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით საბიუჯეტო დაფინანსებას ვერ მიიღებს ვერცერთი პარტია, რომელიც მოპოვებული საპარლამენტო მანდატების ერთ ნახევარს მაინც არ დაიკავებს. ამ ცვლილების თანახმად პარტიას დაფინანსება 6 თვის ვადით შეუწყდება, თუკი მისი წევრების ნახევარი დაუსაბუთებლად არ ესწრება საპარლამენტო სესიებს; ორმა პარტიამ დაკარგა საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლება.

⁴⁹ 1 ევრო უდრის დაახლოებით 3 ლარს.

⁵⁰ [ანტიკორუფციული ბიუროს მონაცემების](#) თანახმად 2024 წლის 21 სექტემბერს „ქართული ოცნების“ ფონდი 9.8 მილიონი ქართული ლარით შეივსო. მეორე ადგილზეა პარტია „ახალი“ 2.2 მილიონი ლარით, მესამეზე კი - „ლელო“ 2 მილიონი ლარით.

⁵¹ პარტიებმა, რომლებიც წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით გადალახავენ დადგენილ ერთ პროცენტის ზღვარს და საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად კვალიფიკაციას მოიპოვებენ, უნდა წამოადგინონ პარტიის ფინანსური ანგარიში არჩევნების თარიღის გამოცხადების დღიდან კენჭისყრის დღემდე პერიოდისთვის არჩევნების ჩატარებიდან 12 დღის ვადაში.

2024 წლის მაისში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში მიღებული ცვლილებებით ანტიკორუფციულ ბიუროს მიენიჭა უფლებამოსილება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსთხოვოს პოლიტიკური პარტიის გაუქმება ინფორმაციის გაცემის მოთხოვნების ორი წლის განმავლობაში ზედიზედ შეუსრულებლობის გამო; კანონი ასევე უფლებამოსილებას ანიჭებს ანტიკორუფციულ ბიუროს გამოკითხოს ცალკეული პირები. 7 აგვისტოს ანტიკორუფციულმა ბიურომ თავისი მოვალეობის ფარგლებში პოლიტიკურ პარტიებს მოსთხოვა 2024 წლის იანვრიდან აგვისტოს პერიოდის ამსახველი ფინანსური ანგარიშების წარმოდგენა. ეს მოთხოვნა ერთმა პარტიამ არ შეასრულა.⁵²

მესამე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია არ რეგულირდება; თუმცა, კანონის თანახმად გაერთიანებებს, რომლებიც არ არიან საარჩევნო სუბიექტებად დარეგისტრირებული, შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ კამპანია იმ შემთხვევაში, თუ ისინი საჯაროდ განაცხადებენ, რომ მათი განზრახვა ძალაუფლების მოპოვებაა და ასეთი სუბიექტებს წინასაარჩევნო დაფინანსების მარეგულირებელი დებულებების თანახმად „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე“ სუბიექტებად ცხადდება. 27 აგვისტოს და 24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ რამდენიმე ორგანიზაცია და ფიზიკური პირი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ გამოაცხადა, დაადგინა რა, რომ მათ მიერ წარმოებული კამპანია ოპოზიციის გზავნილებს ეხმიანებოდა.⁵³ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრისას პროცესში ჩართულმა ბევრმა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ ამგვარი სახელდება პოლიტიკურად მოტივირებულად მიაჩნია. 1 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება კანონის შესაბამისი იყო, თუმცა ამავე დროს ანტიკორუფციულ ბიუროს მოსთხოვა გადაწყვეტილების გადახედვა.⁵⁴ 2 ოქტომბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ გააუქმა ყველა მიღებული გადაწყვეტილება და არგუმენტად „ეროვნული ინტერესები“ დაასახელა.⁵⁵

მიუხედავად იმისა, რომ ფართო მანდატისა და ფინანსების მონიტორინგის ეფექტური კომპეტენციების მქონე სპეციალური უწყების დაფუძნება შეესაბამება ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციას, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბარში პროცესში ჩართული ბევრი დაინტერესებული მხარე

⁵² „გირჩი - მეტი თავისუფლებამ“ არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ის არ დაემორჩილა ანტიკორუფციული ბიუროს ინფორმაციის გაცემის მოთხოვნას ამ უწყების შესახებ არსებული აღქმის გამო, რომ ის პოლიტიკურად მიკერძოებულია.

⁵³ 27 აგვისტოს ანტიკორუფციულმა ბიურომ მოძრაობა „თავისუფალი მოედანი“ და „ევროპული ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“, მისი დირექტორი და 24 წევრი „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებად“ გამოაცხადა. 24 სექტემბერს ეს სტატუსი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და მისი აღმასრულებელი დირექტორს და ისევე, მოძრაობა „აირჩიე ევროპას“, მის დირექტორსა და საბჭოს წევრებსაც მიენიჭათ.

⁵⁴ 6 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და მას მოძრაობა „აირჩიე ევროპას“ ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების მიზნით მის საბანკო ინფორმაციაზე წვდომის უფლება მისცა.

⁵⁵ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლებმა ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ ეს სტატუსი ხელს შეუშლის ამ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებზე სადამკვირვებლო პროცესში, და რომ ანტიკორუფციულ ბიუროს სურდა ამ გზით საარჩევნო პროცესის დისკრედიტაცია აერიდებინა თავიდან.

შემფოთებას გამოთქვამდა, რომ ანტიკორუფციული ბიურო შესაძლოა ადვილად დაექვემდებაროს მთავრობის გავლენას.

XI. მედია

მედიაგარემო მრავალფეროვანი, მაგრამ ძალზედ პოლარიზებულია და ირეკლავს ფართო პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურებს.⁵⁶ მედიასაშუალებები მუშობენ ფინანსური გამოწვევებით სავსე გარემოში, რომელსაც ხელს აძლევს სარეკლამო ბაზარზე არსებული დეფიციტი, რის გამოც მედიასაშუალებები დამოკიდებული ხდებიან პოლიტიკურ და ბიზნესინტერესებზე. პოლიტიკური ინფორმაციის გავრცელების უმთავრეს წყაროებად კვლავაც რჩებიან კომერციული სატელევიზიო არხები. მათ შორის ყველაზე პოპულარული არხებს შორის გვხვდება „იმედი“ და „რუსთავი 2“, რომლებიც აღქმულია, როგორც „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული მედიასაშუალებები, და „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი“, რომლებიც, თავის მხრივ, ოპოზიციურ პარტიებთან აფილირებულ არხებად აღიქმება. „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს“ კი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, შედარებით მცირე რაოდენობის მაყურებელი ჰყავს.⁵⁷ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართულ მხარეები აღნიშნავენ, რომ შედარებით მცირე ზომის, უპირატესად ინტერნეტმაუწყებლები, დამოუკიდებელი გამოქვეყნების მთავარი წყარო არიან და ძირითადად საერთაშორისო გრანტებზე არიან დამოკიდებული. მედიის საკითხებზე მომუშავე ბევრი საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესიონალი და მედიასთან ასოცირებული პირები შემფოთებას გამოთქვამდა, რომ „უცხოური ზეგავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მიღებულმა კანონმა შესაძლოა ძირი გამოუთხაროს დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას.⁵⁸

კონსტიტუციით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება; კანონმდებლობით განპირობებულია სამოქალაქო ცილისწამებისგან დაცვის პროცედურები და საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლება.⁵⁹ თუმცა, მედიის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები თავის ანგარიშებში საუბრობენ სამოქალაქო ცილისწამების მაღალ მაჩვენებლებზე (რომელთა საფუძველზე

⁵⁶ სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებს კანონი ავალდებულებს ყოველწლიურად გამოაქვეყნონ ანგარიში მედიასაშუალების მფლობელისა და მიღებული შემოსავლების შესახებ.

⁵⁷ ამჟამად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი გასული წლის მთელი შიდა პროდუქტის 0.14%-ია; [ანგარიშის თანახმად](#) 2024 წლისთვის 110 მილიონი ლარი (დაახლოებით 36 მილიონი ევრო). აუდიტორიის წილის უკანასკნელი მონაცემების სანახავად, იხ: [აქ და აქ](#).

⁵⁸ 2024 წლის თებერვალში 70-ზე მეტმა ქართულმა მედიაორგანიზაციამ ხელი მოაწერა კანონის წინააღმდეგ განცხადებას.

⁵⁹ 2023 წელს მაუწყებლობის კანონში შეტანილი ცვლილებებით დაიწყო მარეგულირებელი უწყების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, აღსრულების ზომების გატარება, „სიძულვილის ენისა“, „ტერორიზმის წახალისებისა“ და „ბილწსიტყვაობას“ წინააღმდეგ, რაც, როგორც გაცხადებული იყო, მიემართება კანონის დაახლოებას ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედიასერვისების დირექტივასთან. თუმცა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას პროცესში ჩართული რამდენიმე დაინტერესებული მხარე აკრიტიკებდა ამ ცვლილებებს და არგუმენტად მოჰყავდა ის ფაქტი, რომ ეს შეზღუდვები არასაკმარისად არის განმარტებული და რომ კომუნიკაციების კომისია სანქციების დაწესების გადამეტებულ ძალაუფლებას ფლობს. კომუნიკაციების კომისიის განცხადებით, ორგანიზაცია ამჟამად სიძულვილის ენისა და ბილწისიტყვაობის შესახებ მმართველობითი მითითებების (გაიდლაინების) შემუშავების დასრულების ეტაპზეა.

წამოწყებული სასამართლო განხილვები ხშირად მედიის წინააღმდეგ გამოცემული გადაწყვეტილებებით სრულდება) და ასევე საჯარო ინფორმაციაზე წვდომასთან დაკავშირებით წარმოშობილ მნიშვნელოვან ბარიერებზე.⁶⁰ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრებში პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათი შეშფოთების მთავარი საგანი ჟურნალისტების დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რის დასტურადაც მათ ბოლო დროს მომხდარი თავდასხმების ფაქტები მოჰყავთ.⁶¹

კანონი ჰქმნის ნიადაგს მაუწყებლობაში პლურალიზმის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. კანონის მოქმედების ფარგლებში „კვალიფიციური“ საარჩევნო სუბიექტები საზოგადოებრივი, სათემო და კომერციული მაუწყებლებისგან, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ, იღებენ უფასო საეთერო დროსა და უფლებას, რომ სარი ფასებით შეიძინონ საეთერო დრო და, ასევე, მონაწილეობა მიიღონ დებატებში.⁶² კანონით გათვალისწინებულია, რომ კანდიდატები უფასო საეთერო დროს იღებენ ბოლოს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნებში მიღებული შედეგების პროპორციულად.⁶³ მაუწყებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რეკლამების შინაარსი შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს.⁶⁴ მაუწყებლებმა აღნიშნეს, რომ არსებობს გარკვეული ბუნდოვანება უფასო სატელევიზიო დროის გამოყოფასთან და რეკლამის შინაარსთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც საარჩევნო სუბიექტები *დე ფაქტო* კოალიციებში ერთიანდებიან.

⁶⁰ ევროკომისიამ საქართველოს შესახებ 2023 წელს მომზადებულ თავის [ანგარიშში](#) განაცხადა, რომ „ბოლო დროს წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ცილისწამების საქმეებზე გამართული სასამართლო პროცესები და გამოტანილი გადაწყვეტილებები უარყოფით ზეგავლენას ახდენს კრიტიკულ მედიაზე და პრობლემებს უქმნის გაშუქებას“.

⁶¹ იხ. ევროპის საბჭოს ჟურნალისტთა უსაფრთხოების პლატფორმის 18 ივნისის [საგანგებო განცხადება](#) და 19 სექტემბერს გამოქვეყნებული [სახელმწიფოს პასუხი](#).

⁶² კენჭისყრის დღემდე 50 დღით ადრე საზოგადოებრივი მაუწყებლები: „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „ტელეკომპანია აჭარა“ და რადიო, და სათემო მაუწყებლები ვალდებული არიან თითოეული საათში ჯამში 5 წუთი გამოყონ უფასო საეთერო დროისთვის, რომელიც „კვალიფიციურ“ საარჩევნო სუბიექტებს შორის უნდა გადანაწილდეს მაშინ, როცა მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ტელეკომპანიებმა საერთო ჯამში ყოველ სამ საათში ერთხელ ჯამში 7.5 წუთი უნდა გამოყონ ისე, რომ არცერთმა საარჩევნო სუბიექტმა არ მიიღოს სამ საათში 90 წამზე მეტი დრო. დამატებით, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ვალდებულია უფასო საეთერო დრო დაუთმოს ყველა „არაკვალიფიციურ“ საარჩევნო სუბიექტს მათი სურვილისამებრ.

⁶³ კანონის თანახმად პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო ბლოკები უფასო საეთერო დროს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ მათ ბოლოს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე დადგენილი ზღვარი გადალახეს და თუ მათ ეკუთვნით საბიუჯეტო დაფინანსების მიღება. ბლოკების შემთხვევაში საეთერო დრო თანაბრად უნდა გადანაწილდეს. კომუნიკაციების კომისიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოების მიერ შესაბამისი დებულებების განშლადი ინტერპრეტირების გამო, მათ შორის *დე ფაქტო* კოალიციების მიერ საეთერო დროის გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც არ წყდება ამ საფუძვლით მაუწყებლებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის სანქციების დაწესება.

⁶⁴ 5 ოქტომბერს „მთავარმა არხმა, „ტვ პირველმა“ და „ფორმულამ“ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა და უარი თქვა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი სარეკლამო რგოლის, რომელშიც ეს არჩევნების მშვიდობასა და ომს შორის გასაკეთებელ არჩევნად არის წარმოდგენილი და ვიზუალურ მასალად უკრაინაში მიმდინარე ომის ფოტოებს იყენებს, ერთერში გამჟებაზე. მაუწყებლების განცხადებით, „ქართული ოცნება“ „თავის სასარგებლოდ იყენებს უკრაინელი ხალხის ტრაგედიას“ და ეს რეკლამები „ამორალურია“.

საკანონმდებლო ნორმების შესერულებაზე ზედამხედველობა კომუნიკაციების კომისიის პასუხისმგებლობაა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც სავალდებულო სასამართლო განხილვას ექვემდებარება. საარჩევნო კამპანიის დაწყების დღიდან, სასამართლოებმა დაახლოებით ცხრა მაუწყებელს სანქციები დაუწესა უფასო სატელევიზიო დროის გამოყოფის დებულებათა დარღვევისთვის.⁶⁵ 27 აგვისტოს კომუნიკაციების კომისიამ 55 სატელევიზიო არხის რაოდენობრივი მონიტორინგი დაიწყო; გარდა ამისა, მიმდინარეობს 7 სატელევიზიო არხის რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგიც. კომუნიკაციების კომისიამ ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მისი პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს 27 აგვისტოდან 27 სექტემბრამდე პერიოდს, კენჭისყრის დღემდე გამოქვეყნდება. ახალი ამბების გაშუქებისთვის დაწესებული მოთხოვნები მხოლოდ თვითრეგულირებას ექვემდებარება და არ ხორციელდება კომუნიკაციის კომისიის მიერ.

2024 წლის 18 სექტემბერს, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაიწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ექვსი სატელევიზიო არხისა და ორი ონლაინ მედიასაშუალების მედიამონიტორინგი.⁶⁶

XII. ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

ეროვნული უმცირესობები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ; მათ შორის ეთნიკური აზერბაიჯანელები 6.3%-ით და სომხები 4.5%-ით ყველაზე მსხვილი ჯგუფებია. კონსტიტუციით გათვალისწინებულია, რომ ეროვნული უმცირესობები სრულყოფილად უნდა სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით; აკრძალულია დისკრიმინაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნით და ისეთი პოლიტიკური პარტიების დაფუძნება, რომლებიც ეთნიკურ შუღლს აღვივებენ და ტერიტორიული ნიშნით იქმნებიან.

ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით მთავრობის მიერ გაღებული ძალისხმევის მიუხედავად, ისინი საკმარისად არ არიან წარმოდგენილი ქვეყნის საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში.⁶⁷ პარლამენტის მიმდინარე შემადგენლობაში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი 6 დეპუტატია (4%). ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში არაქართველი ეთნიკური თემების წარმომადგენლების

⁶⁵ კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებამდე ოთხ ტელეკომპანიას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სანქციები დაუწესდა რეკლამებისთვის, რომლებიც, სასამართლოს მტკიცებით, შეიცავდა სხვა საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გაწეული საარჩევნო აგიტაციის ნიშნებს; მათ შორის ისეთ შემთხვევებში, როდესაც პარტიები შეუერთდნენ *დე ფაქტო* კოალიციებს. სამ ტელეკომპანიას სანქციები დაუწესდა იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს „ქართული ოცნების“ რეკლამის ეთერში გაშვებაზე, რომელიც მათი მოსაზრებით შეიცავდა „სიძულვილის ენას“.

⁶⁶ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, „ტელეკომპანია ფორმულა“, „ტელეკომპანია იმედი“, „მთავარი არხი“, „ტვ პირველი“ და „რუსთავი 2“ და ასევე „ნეტგაზეთი“ და „tabula.ge“

⁶⁷ ევროპის საბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ 2024 წელს მომზადებული [მეთხე მოსაზრება საქართველოს შესახებ](#) ამბობს, რომ „სამთავრობო დონეზე, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი პირები კვლავაც ძალიან იშვიათად ან სრულებით არ არის წარმოდგენილი ადგილობრივ მმართველობით ორგანოებში [...] მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არაპროპორციულად დაბალია [...] გარდა ორი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობისა“.

რაოდენობა უკეთ ასახავს მათ პროპორციულობას ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან მიმართებით, თუმცა მათი მონაწილეობა ხშირად ენობრივი ბარიერების გამო ფერხდება.⁶⁸ ამ არჩევნებზე კანდიდატთა დაახლოებით 4,6% წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობებს, თუმცა კანდიდატთა სიებში ისინი მხოლოდ რამდენიმე ხელსაყრელ პოზიციაზე არიან წარმოდგენილი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა განათლებისა და არჩევნებთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალა, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენები, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც შეადგინა. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები საოლქო საარჩევნო კომისიების მხოლოდ ორ პროცენტს შეადგენენ.⁶⁹

XIII. საარჩევნო დავების გადაწყვეტა

კანონი საარჩევნო სუბიექტებსა და დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს ფართო სამართლებრივ ბაზას აძლევს, თუმცა ამომრჩეველებს მხოლოდ თავისი სარეგისტრაციო მონაცემებთან ან ამომრჩეველის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული საჩივრების მომზადება შეუძლიათ. არჩევნებთან დაკავშირებული დავების უმრავლესობა დაჩქარებულად განიხილება; საარჩევნო კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამის ზედა დონის კომისიაში, შემდეგ კი რაიონულ ან საქალაქო სასამართლოში; საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის ბოლო ინსტანციას სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს. არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევები უპირატესად საარჩევნო ადმინისტრაციის იურისდიქციაში ექცევა. არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების თაობაზე გადაწყვეტილება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გამოაქვს. ამგვარი დარღვევებისთვის დაწესებული ნებისმიერი სანქცია სასამართლომ უნდა განიხილოს.

2022 წლის დეკემბერში საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის დადგენილი ზოგიერთი ვადა გახანგრძლივდა, რაც შეესაბამება ODIHR-ის მიერ წარსულში გაცემულ რეკომენდაციებს.⁷⁰ თუმცა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ სასამართლოში სარჩელების ჩაბარებისა და განხილვის ვადები კვლავაც ძალიან მოკლეა.⁷¹ 8 ოქტომბრისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კომისიების ან საარჩევნო სუბიექტების წინააღმდეგ შედგენილი 87 საჩივარი მიიღო, რომლების უმეტესწილად საუბნო საარჩევნო კომისიების არჩევასა და მუშაობასთან, ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად

⁶⁸ 2023 წელს ევროპულმა კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ გამოაქვეყნა [ანგარიში საქართველოს შესახებ](#), რომელშიც ნათქვამია, რომ „2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკური სომხების 44.5% და ეთნიკური აზერბაიჯანელების 73.9% ცუდად ფლობდნენ სახელმწიფო ენას. ეს პრობლემას წარმოშობს არამხოლოდ მათ ყოველდღიურ კომუნიკაციაში, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლებლობას მიიღონ სერვისები, განათლება და ასევე, დასაქმების პერსპექტივები“.

⁶⁹ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანახმად საოლქო საარჩევნო კომისიების 1 241 წევრიდან 24 ეთნიკური სომეხი და მხოლოდ 1 აზერბაიჯანელია.

⁷⁰ თუმცა, საარჩევნო საჩივრებისა და სარჩელების განხილვისთვის დადგენილი ვადების უმრავლესობა ცდება რეკომენდებულ ვადებს. იხ. ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული [ერთობლივი დასკვნა](#) და 2022 წელს გამოქვეყნებული [ერთობლივი დასკვნა](#).

⁷¹ კანონით დადგენილია სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვის ორდღიანი ვადა სასამართლო სარჩელების ჩაბარებისა და განხილვისთვის, შესაბამისად ერთი დღე - ჩაბარებისთვის და ორი დღე - განხილვისთვის.

გამოყენებასთან და წინასაარჩევნო წესების დარღვევებთან იყო დაკავშირებული. ამათგან, 51 საჩივარი უარყოფილი იქნა არსებითი განხილვის შედეგად. 7 საჩივარი დაკმაყოფილდა და 29 განხილვის მოლოდინშია. სასამართლოებმა გადაწყვეტილებები გამოიტანეს არჩევნებთან დაკავშირებულ დაახლოებით 30 საქმეზე, მათ შორის უფასო საეთერო დროის გამოყოფისა და საზღვარგარეთ ხმის მიცემის შესახებ. საქმეები ზოგადად ცენტრალური საარჩევნო კომისიის ღია სესიებზე განიხილება, თუმცა ცალკეულ საჩივრებზე გადაწყვეტილებას თავმჯდომარე იღებს და არა საარჩევნო კომისია, როგორც კოლეგიური ორგანო. სასამართლოები საჯარო განხილვებს მართავენ და მათი გადაწყვეტილებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე ქვეყნდება.

უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის (IATF), რომლის მანდატშიც შედის საჯარო სექტორში დასაქმებულთა მიერ ჩადენილი არჩევნებთან დაკავშირებული დარღვევების პრევენცია და მათზე რეაგირება, 28 ივნისს დაფუძნდა. 7 ოქტომბრისთვის IATF-მა შვიდი შეხვედრა და დისკუსია ჩაატარა მედიასაშუალებებით გავრცელებული დარღვევებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისგან მიღებული ორი შეტყობინების შესახებ. ოპოზიციურ პარტიათა და სამოქალაქო საზოგადოების უმრავლესობამ უარი განაცხადა IATF-ის ღონისძიებებში მონაწილეობაზე, რადგან მათი აღქმით ორგანიზაციის მიერ გაწეული ძალისხმევა არ იქნება ქმედითი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებთან დაკავშირებულ დანაშაულებებთან დაკავშირებით ექვს სისხლის სამართლისა და ერთ ადმინისტრაციულ საქმეზე გამოძიება დაიწყო. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბრებში პროცესში ჩართული რამდენიმე დაინტერესებული მხარე აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეების ეფექტური და მიუკერძოებელი შესწავლისა და განხილვის თვალსაზრისით კანონის აღსრულების, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია.⁷²

XIV. დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს არჩევნების პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს; არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ კანდიდატთა წარმომადგენლებსაც. 2022 წლის დეკემბერში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებმა საფუძველი ჩაუყარა დებულებებს, რომლებიც უკრძალავს პარტიებთან აფილირებულ ფიზიკურ პირებს მოქალაქე-დამკვირვებლების რანგში იმოქმედონ; თუმცა, ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან საუბარში პროცესში ჩართულმა რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოთქვა დიდი ხნის შემფოთება, რომ ზოგიერთი დარეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფს შესაძლოა კენჭისყრის დღეს პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდეს.⁷³ 10 ოქტომბრისთვის ცენტრალურმა

⁷² იხ. აგრეთვე 2022 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული [დასკვნითი მიგნებები](#) საქართველოს შესახებ, რომელშიც გამოთქმულია შემფოთება იმის გამო, რომ „სახელისუფლებო პარტიის სასამართლო ხელისუფლებაში დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მრავალწლიანი ნაკლებობა“

⁷³ პირი, რომელიც გაკრვეულ საჯარო თანამდებობას იკავებს ან ბოლოს ჩატარებული ორი საყოველთაო არჩევნების დროს პარტიის მიერ დასახელებული იყო საარჩევნო კომისიის წევრად, საარჩევნო სუბიექტი ან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი იყო, ან გასული საყოველთაო არჩევნების შემდეგ პოლიტიკური პარტიის შემომწირველი იყო, ვერ დარეგისტრირდება ადგილობრივ დამკვირვებლად.

საარჩევნო კომისიამ აკრედიტაცია მიანიჭა 68 ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას ჯამში 2 602 დამკვირვებლით და 51 საერთაშორისო სადამკვირვებლო ჯგუფს ჯამში 512 დამკვირვებლით.

რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, მათ შორის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ (ISFED), „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (GYLA), „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ (TI Georgia) და საერთო-სამოქალაქო მოძრაობამ „მრავალეროვნო საქართველო“ (PMMG) ხანგრძლივადიანი სადამკვირვებლო ღონისძიებები წამოიწყეს.⁷⁴ სამოქალაქო საზოგადოების ბევრი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ, რასაც მათი საქმიანობის სტიგმატიზება მოჰყვა, ისინი უფრო მეტი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ.⁷⁵

XV. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა ოფიციალურად თბილისში 12 სექტემბერს ჩატარებული პრესკონფერენციით დაიწყო. ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ დაამყარა რეგულარული კავშირი ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან, კანდიდატებთან და პოლიტიკური პარტიების სხვა წარმომადგენლებთან, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დიპლომატიურ და საერთაშორისო თემთან.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ნატოს საპარლამენტო ასამბლეა და ევროპარლამენტი გეგმავენ კენჭისყრის დღეს დამკვირვებლების რანგში დელეგაციები მიავლინონ. პასკალ ალიზარდი (საფრანგეთი) დასახელდა სპეციალურ კოორდინატორად, პია კაუმა (ფინეთი) კი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის უფროსად დაინიშნა.

⁷⁴ ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ უკვე გამოაქვეყნა თავისი შუალედური ანგარიშები, რომლებშიც წინასაარჩევნო პერიოდის გარემოს აფასებენ და გეგმავენ ანგარიში მოამზადონ კენჭისყრის დღეს განვითარებული მოვლენების შესახებაც. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ კენჭისყრის დღეს გეგმავს 1 500 დამკვირვებლის მივლენას. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (GYLA) 6 000 დამკვირვებლით იქნება წარმოდგენილი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (TI) კი სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად გეგმავს, კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესს დააკვირდეს ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საარჩევნო უბანში და რამდენიმე უბანში ქვეყნის საზღვრებს გარეთ. 24 სექტემბერს ანტიკორუფციულმა ბიურომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ „გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტად“ გამოაცხადა, რის შედეგადაც ორგანიზაციამ საარჩევნო სადამკვირვებლო აქტივობები შეაჩერა. ორგანიზაციამ სადამკვირვებლო აქტივობები განაახლა მას შემდეგ, რაც ანტიკორუფციულმა ბიურომ 2 ოქტომბერს თავისი გადაწყვეტილება გააუქმა.

⁷⁵ რამდენიმე ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფმა, მათ შორის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, ISFED-მა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ საჯაროდ განაცხადეს უარი დამორჩილებოდნენ ამ კანონს და შემფოთება გამოთქვეს მისი არაკონსტიტუციურობის თაობაზე და მათ მუშაობაზე მის სავარაუდო უარყოფით ზეგავლენაზე.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.